კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 1 (14) № 235

ფელიეადი მესამე

ფასი 15 კაპ.

კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 1 (14) № 235

12214

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლეგამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მიხალმართის** გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა ნოტარილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა** დიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

გერმანეთის რეიხსტაგში საგარეო მინისტრმა განაცხადა: ელზას-ლორენს გერმანეთი არ დასთმობს.—ბოლშევიკები დამფუძნებელ კრებაზე ლენინსა და ზინოვიევს ჰგზავნიან.—ლიტვის სეიმმა გადასწყვიტა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება.—ხარკოვში ებრაელებს არბევენ.—კავკასიის ფრონტზე ბრძოლა დაიწყო.—კაპიტანმა მაჭავარიანმა ოსმალთა ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

წერილები

რ. ინგილო. აღდგომილი ეკლესია.
ნინო ჟიფიანი. სვეტი-ცხოველთან.
ს. იორდანიშვილი. ჭყონდიდელს—დავითიც.
ი. დარუშვილი. ქართული დროშა (ლექსი).
საქართველოს კათალიკოზი. კირიონი II (ბიოგრაფიული ცნობა სურათით).

გენერალი ძიძოძე. ზავი თუ სამოქალაქო ომი.
რუსული პრესა.

ლ. ბახტაძე. წერილები პეტროგრადიდან.
მ. საირხელი. ჩრდილო და ამიერ კავკასია.
კოლესპონდენცია. კახეთიდან.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება.

ამა წლის ღვინობისთვის პირველ რიცხვს, დღისით კვირას, ქ. ზუგდიდის სული-წმიდის მოფენის ეკლესიაში დანიშნულია ორი წლის თავზე წირვა და პანაშვიდი მრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის ლეიბ-გვარდიის ყაზახთა პოლკის ხორუნჟის თავადის

საშა (ალექსანდრე) ჯანხოსის ძის

დადიშქელიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცხადებენ უნუგეშო მისი მშობლები: კეკენა ანნა ალექსანდრეს ასული და თავადი ჯანხოს თენგიზის ძე დადიშქელიანები. წირვა დაიწყება 10 ს. ხოლო პანაშვიდი 12 ს.

(1—1)

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების
საორგანიზაციო კომისია იუწყება, რომ ხსენებულ საზოგადოების

პირველი კრება

დანიშნულია სამშაბათს, ამა წლის 3 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ თბილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს სადგომში (ფრეილინის ქუჩა, № 11)

ძირითნი საბანი: 1) კომისიის მოხსენება საქმის ვითარების შესახებ და 2) გამგეობისა, საკონტროლო საბჭოსი და საფინანსო კომისიის არჩევა.

წინასწარ წევრებად ჩაწერა შეიძლება სადეპ. საკრებულოში ილია ზურაბიშვილთან.

(1—787—1)

თბილისის სასულიერო სემინარიის

სამმართველო

ამით აცხადებს: მეცადინეობა სემინარიაში გადადებულ იქმნა; როდის დაიწყობა სწავლა, ამას სამმართველო ცალკე გამოაცხადებს.

განმეორებითი გამოცდები იქმნება სწავლის დაწყების წინ, ხოლო მსურველთათვის ოქტომბრის 2-დან 15-დინ ამ წლისა.

მისაღები გამოცდები იქმნება სწავლის დაწყების წინ, როდესაც გამოირკვევა ვაკანსიების რაოდენობა თვითეულ კლასში.

სემინარიის სამმართველოს კანცელარია იღებს თხოვნებს სემინარიის ყველა კლასში მისაღებ გამოცდების შესახებ როგორც ქართველთაგან, ისე რუსთაგან, ბერძენთაგან და სხ.

ის მოწაფეები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლა თბილისის, თელავის და გორის სასულიერო სასწავლებლებში და რომელნიც ცნობილ იქმნენ ხსენებულ სასწავლებელთა სამმართველოებისაგან ღირსად სემინარიაში გადმოსვლისა, უკვე ჩარიცხულ არიან სემინარიის პირველი კლასის მოწაფეებად.

(2—785—1)

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ფორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-საბაქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 **მანეთიანი.**

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, **ბაქოში**—საზოგადოების კონტორაში ფორონცოვის ქ. № 4. თ—766—8

თგილ. ქართულ გიმნაზიის შენოგაში (ვერაზე)

გაიხსნა ახალი ქართული

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

რუსთაველის სახელობაზე

მოწაფეთათვის სრულ უფლებიანია.

თხოვნები მიიღება ყოველ დღე. მისაღები გამოცდები სწარმოებს **საანბანო** I **და** II **განყოფილებაში. სწავლა** დაიწყება **2 ოქტომბერს.**

დამაარსებელნი მასწავლებელთა ამხანაგობა.

1—786—1

ქართველ მწერალთა

ყრილობა

მოხდება 7 ოქტომბერს, ქართულ კლუბის დარბაზში, 10 საათ.

ყრილობის პროგრამა შემდეგია:

1. მისალმებანი.
2. მოხსენებანი.
3. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების ანგარიში.
4. მწერალთა კავშირის დაარსება.
5. არჩევნები მუდმივ ორგანოთა წევრებისა.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მუშაობი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოფიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პრეს. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—30

ქართული კლუბი

ქართული დრამა.

წარმოდგენა № 4.

ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, ქართული დრამის მიერ **წარმოდგენილი იქნება**

გაზაფხულის ნიაღვარი

დრ. 4 მოქ. კოსოროტოვისა, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორი ვალ. **შალიკაშვილი.**

2—784—2

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ლებულობს ავადმყოფებს ხალ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. **მისამართი:** ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

28—748—თ.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ითაშანგის (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის **პროსპექტი № 116.**

(თ—703—30)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. **კადეტთა კორპუსისა.**

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან **ავადმყოფებს** მიიღებს **დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.**

ტელეფ. № 17—21.

სამკურნალო კაბინეთი

პ. ს.

ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და **კანის ავადმყოფობათა** სპეციალი **სამკურნალო** წამლობა ელექტრონით **და** ოპერაციები, **წამლობა „914“-ით** და **„606“-ით. ავადმყოფთა** მიღება: **9—12 საათამდე** დღისით **და** $4^1/_2$—8 **საღამოთი.** მიხაილოვის **პროსპექტის** კუთხე **№ 128,** კრილოვის **ქუჩა № 1. ოგანეზოვის** სახლი. **მეორე** შესავალი **კრილოვის ქუჩით.**

ქ. თბილისის მცხოვრებთ

თბილისის სასწავლებლებში ნაციონალიზაციის განსახორციელებლად შემდგარი კომიტეტი ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ დღეინობისთვის 2-დან ნაციონალიზაცია ხორციელდება ქვემოდ მოყვანილ სასწავლებელთა ცალკეულ კლასებში.

ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. ნაციონალიზაცია ხორციელდება მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში. ხსენებულ განყოფილებაში ყველა საგნების სწავლა **ქართულ ენაზე** დაიწყება.

ვაჟთა მეორე გიმნაზიაში—ნაციონალიზაცია ხორციელდება მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში. ყველა საგნების სწავლა **ხომხურ ენაზე** დაიწყება.

ვაჟთა მესამე გიმნაზიაში—ნაციონალიზაცია მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში.—სწავლა **ხომხურ ენაზე.**

ვაჟთა მეოთხე გიმნაზიაში. ნაციონალიზაცია—მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში. სწავლა **თათრულ** ენაზე.

ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში. ნაციონალიზაცია—საანბანო განყოფილებაში. სწავლა **ქართულსა** და **ხომხურ ენაზე** (ცალ-ცალკე).

რეალურ სასწავლებელში. ნაციონალიზაცია—მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში. სწავლა **ქართულ ენაზე.**

ქალთა პირველი გიმნაზია. ნაციონალიზაცია—საანბანო განყოფილებაში—**ხომხურ ენაზე,** მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში **ხომხურ ენაზე** და მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში **თათრულ ენაზე.**

ქალთა მე-2-ე გიმნაზია. ნაციონალიზაცია—საანბანო განყოფილებაში და მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში სწავლა **ქართულ ენაზე.**

ქალთა მე-3-ე გიმნაზია. ნაციონალიზაცია—საანბანო განყოფილებაში და მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში სწავლა ხომხური ენაზე.

ქალთა მე-4 ე გიმნაზია. ნაციონალიზაცია—მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში. სწავლა **ქართულ ენაზე.**

ქალთა მე-5-ე გიმნაზია. ნაციონალიზაცია—საანბანო განყოფილებაში და მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში სწავლა ხომხურ ენაზე.

წმიდა ნინოს სასწავლებელში. ნაციონალიზაცია საანბანო განყოფილებაში და მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში სწავლა **ქართულ ენაზე.**

უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში

პირველ კლასის პირველ განყოფილებაში სწავლა **ქართულ ენაზე.**
პირველ კლასის მესამე განყოფილებაში სწავლა **ქართულ ენაზე.**
და პირველ კლასის პირველ განყოფილებაში სწავლა **ხომხურ ენაზე.**
ყველა სასწავლებლებში დარჩება **რუსული განყოფილებები.**

სწავლა ნაციონალიზაცია **გაახორციელებულ** განყოფილებებში სახელმწიფო სასწავლებლების პროგრამით იქნება. ხსენებულ **განყოფილებათა** ბოლოფეთ ერთსაათი **უფლება** ექნებათ სახელმწიფო სასწავლებელთა ბოლო ფეებთან. **რუსულ** ენას დიდი **ყურადღება** ექნება მიქცეული.

თხოვნების მიღება ნაციონალიზაცია **გაახორციელებულ** განყოფილებებში კიდევ შეიძლება.

თბილისის სასწავლებელ ნაციონალიზაციის განსახორციელებლად შემდგარი კომიტეტი.

(1—788—1)

ყუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის

ოცავი ქვის მრეწველთა კრების

საგჭო

აცხადებს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით 15 ოქტომბერს 1917 წელს, ქ. ყუთაისში მოწვეულია შავი ქვის მრეწველთა

მეცხრამეტე (მორიგი)

საერთო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1. კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 4 წ., ბ) სარევიზიო კომისიის, ვ) განმანაწილებელი ბიუროსი.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა, შესახებ **ამოღებული** მადნის რაოდენობისა, საწყობებზე **დაბზადებულ** და **გატანილ** მადნის **რაოდ**ენობისა, **დასაწყობ** და **გადასაზიდავ** მოწყობილობისა, **რომელნიც** ხელთ **აქვს** რკინის **გზის** მმართველობას **როგორც** ჰიათურის **ტოტზე,** ისე **მთავარ** ლიანდაგზე.
4. **რკინის** გზის **საკითხები, რომელნიც** **დაკავშირებულნი** **არიან** მარგანეცის **და** სხვა **საქონლის** **გადაზიდვის** **გაუჯობესებასთან** ჰიათურის ტოტს **საშუალებით.**
5. **განმანაწილებელ** ბიუროს **რეორგანიზაცია.**
6. **სახელმწიფო** ბანკიდან **მარგანეცის** **მრეწველებისათვის** **კრედიტის** **გახსნა.**
7. **მარგანეცის** **გადასაზიდავ** **ტარიფის** **დაკლება.**
8. **შავი** ქვის **მრეწველთა** **კრების** **საბჭოს** **მოსამსახურეთა** **მოთხოვნილებანი.**
9. **სესხის** **აღება** **შავი** ქვის **მრეწველთა** **კრების** **საბჭოს** **მოქმედების** **გასაგრძელებლათ.**
10. **საფუთო** **გადასახადის** **მომატება** **მრეწველთა** **კრების** **სასარგებლოთ.**
11. **გრძანებულების** **კუთვნილი** **საოლიკვიდაციო** **დანიშნული** **წარმოების** **შეძენა** **ჰიათურაში.**
12. **საბჭოს** **კანტორის** **ჰიათურაში** **გადატანა.**
13. **ურთიერთობა** **შავი** ქვის **მრეწველთა** **საბჭოსა** **და** **ჰიათურის** **საქალაქო** **თვითმართველობის** **შორის.**
14. **კითხვები,** **რომელნიც** **დაკავშირებულნი** **არიან** **დაშავებულ** **მუშათა** **უზრუნველყოფის** **საქმის** **წარმოებასთან.**
15. **თავისუფალი** **აფთიაქის** **გახსნა** **ჰიათურაში** **შავი** ქვის **მრეწველთა** **კრების** **ხარჯით.**
16. **1917** **და** **1918** **წლების** **ხარჯთაღრიცხვა** **და** **დამტკიცება.**
17. **არჩევნები** **საბჭოს** **მთელი** **შენადგენლობისა** **და** **სხვა** **თანამდებობის** **პირთა.**

ზავი თუ სამოქალაქო ომი

მოკავშირე სახელმწიფოები პარიზის კონფერენციისათვის გმზადებიან, ამ კონფერენციამ შეიძლება წინასწარი ზავის ჩამოგდება დააჩქაროს. თუ რუსეთის ბურჟუაზიასა და მთავრობას თვითდაცვის გრძნობა განვითარებული აქვთ, ყოველი ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყონ სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთსაც და მეორესაც საშინელი კატასტროფა მოელის, რამაც შეიძლება სამუდამოდ თან გადაიყოლოს რუსეთის მთელი ნივთიერი და სულიერი კულტურაც.

რასაკვირველია ადვილი მოსალოდნელია, რომ რუსეთის ზოგიერთი მოკავშირე წინანდელ ჯიუტობას გამოიჩენს და წინააღმდეგობას გაუწევს ომის შეწყვეტას. ერთი რომ მათ ჯერ კიდევ სავსებით არ ამოუწურავთ თავიანთი სამხედრო ენერგია. საფრანგეთი საერთოდ უკეთეს მდგომარეობაშია ვიდრე რუსეთი, ინგლისი უკეთესში ვიდრე საფრანგეთი. ამას გარდა ჯერ კიდევ ოდნავაც არ მოახლოვებულა იმ მიზნების განხორციელება, რომელნიც ოთხთა შეთანხმებამ შარშან ზამთარში მთელს ქვეყანას ამცნო პრეზიდენტ ვილსონისადმი მიმართულ ნოტაში: გერმანიის სამხედრო ძლიერების გახადგურება, ავსტრია-ჰუნგრეთის დაშლა, ოსმალეთის განდევნა ევროპიდან. მაგრამ აქვს თუ არა დღევანდელ რუსეთს სურვილი და ძალა თანამშრომლობა გასწიოს ასეთი მიზნებისთვის ბრძოლაში? როგორც სჩანს, ზოგიერთ მოკავშირეს ჰგონია, რომ ასეთი სურვილი შეიძლება მუქარის საშუალებით დაიბადოს. გაზეთებში დაბეჭდილია გენერალ ალექსეევის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ თუ რუსეთმა გადაპარბებული სულმოკლეობა გამოიჩინა, რუსის ფრონტზე იაპონიის ლაშქარი გაჩნდება, რასაც უსსურის ხბრის დაკარგვა მოჰყვებაო.

უნდა ითქვას, რომ რუსის ჯარისკაცისა და რუსის გლეხის მამულიშვილური შეგნება იმ დონეზე სდგას, რომ არც ერთსა და არც მეორეს აგრე რიგად არ შეაშფოთებს უსსურის კუთხეების ბედი. მოწინავე საზოგადოება კი ალბად ამჩნევს, რომ თუ ეხლანდელი მდგომარეობა გაჭიანურდა, სახელმწიფომ შეიძლება დაჰკარგოს არა თუ ერთი რომელიმე შორეული პროვინცია, არამედ ბევრი რამ, რაც მას ივანე კალიტას, ან ივანე მრისხანის შენდეგ შეუგროვებია. და ეს შეიძლება მოხდეს რუსეთის შინაგანი დაშლის წყალობით.

რუსეთის გათიშვა და ორი მოწინააღმდეგე ბანაკის დარაზმვა საოცარი სისწრაფით გრძელდება. ერთი მხრივ სდგება მილიუკოვის ლაშქარი, მეორე მხრივ ლენინისა. შუამდგომლობა რაზმები თვალ და ხელ შუა დნებიან და ჰკრებიან. დიდათ სიმპტომატიურია ამ ხბრივ უკანასკნელი საქალაქო არჩევნები, სადაც ფართო ხალხის სიმპატიები გამოაშკარავდა. მოსკოვის სარაიონო საბჭოების არჩევნებში ბოლშევიკებმა იმდენი ხმა მიიღეს, რამდენიც ყველა დანარჩენმა პარტიებმა ერთად. მაგრამ ამ უკანასკნელთ შორის ლომის კერძი შეურიგებელ კადეტებს ერგოთ. მშვიდობიანი მენშევიკები და დაპკვიანებული სოციალისტ-რევოლუციონერები მცირე რიცხოვან ფრაქციებათ იქცნენ.

წარმოუდგენელია, რომ ნახევარი რუსეთი ორიოდე თვის განმავლობაში ლენინის რევოლუციური კომუნიზმით გამსჭვალულიყოს. უეჭველია, რომ ეს ამოდენა ხალხი ბოლშევიკებში უფრო ზავის მომხრეებს ჰხედავს, ვიდრე უკიდურესი სოციალიზმის მოციქულებს. მაგრამ თუ ბოლშევიკებმა სახელმწიფო ძალა ხელში ჩაიგდეს, ხალხის ნდობას პარტიულ მიზნებისთვისაც გამოიყენებენ და არ დასჯერდებიან არც საერთაშორისო საშშვიდობო მოწოდებების გამოცემას, არც თვით ზავის გამოგდებას. ლენინის პარტია უწინარეს ყოვლისა თავის სოციალური პროგრამის განხორციელებას შეუდგება. ბ. ზინოვიევმა და ბ. კამენევმა გვამცნეს კიდეც ამ პროგრამის ძირითადი მუხლები. მთელი მიწა გლეხობას უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ დამფუძნებელ კრების დასტურის მიდებამდე. პატარა ერებს გამოყოფვის უფლება უნდა მიენიჭოს. ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა კონტროლი უნდა დაწესდეს, სადაც შესაძლებელია წარმოების სოციალიზაცია უნდა მოხდეს. ბოლოს სახელმწიფომ ნაწილობრივი გაკოტრება უნდა გამოაცხადოს ე. ი. უარი უთხრას მსხვილ შიაბურ და გარეულ მსესხებლებს.

ბოლშევიკები ბრავის უმალავენ იმას, რომ მათი სოციალური პროგრამის განხორციელება ალბათ სამოქალაქო ომს გამოიწვევს. ეს პერსპექტივა მათ არც აღონებს. პირიქით: სამოქალაქო ომი, ასე ვსთქვათ, თვით პროგრამის აუცილებელი დეტალია. „დღევანდელი იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომათ უნდა გადაიქცეს, ეს ერთად ერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგია, პარიზის კომუნის გამოცდილება და ბაზელის საერთაშორისო კონგრესის რეზოლუცია რომ გვიკარნახებსო“, სწერია ლენინის მანიფესტში, რომელიც 1915 წლის იანვარში კოპენჰაგენის სოციალისტური კონფერენციისათვის იყო შედგენილი.

სამოქალაქო ომი მოსალოდნელია რუსეთში, მხოლოდ ძლიერ ძნელი წარმოსადგენია მისი სახე. უეჭველია ყოველს შემთხვევაში, რომ იდეიური ბოლშევიკების სურვილისა და მოლოდინის წინააღმდეგ, ის ნაკლებ დაემსგავსება დასავლეთ ევროპის ნიმუშებს. თვით სამოქალაქო ომიც ერთგვარ წესრიგსა და დისციპლინას ჰგულისხმობს, რუსეთში კი ბოლო დროს უნუგეშო ანარქია მკვიდრდება. ხალხმა გამოაშკარავა მძაფრი ელემენტარული ინსტიქტები, მისი დაურვება ისევე ძნელია, როგორც გარეული ავაზისა, რომელმაც სისხლის სუნი შეიყნოსა. რას უნდა ველოდეთ ადამიანებისაგან, რომელთაც რიგაში ბართლომეს დამე გამართეს, სიმბირსკის ქუჩები არყით გაჟღენთილი ჯარისკაცების სხეულებით გაჩირაღდნეს ყაზახის გუბერნიაში ცოცხალი კაცი შესწვეს, ხოლო ლიფლიანდიაში უკან დახევის დროს საკუთარი მომვლელი დედაკაცები გააუპატიურეს? უნდა ვიფიქროთ რომ თუ ზავმა დროზე ვნებათა ღელვანი არ დაამშვიდა, ეს ხალხი ისეთ სამოქალაქო ომს გაგვიმართავს, რომ მასთან შედარებით 1871 წლის პარიზის კომუნა ან 1792 წლის სექტემბრის მკვლელობანი წყნარ იდილიათ მოგვეჩვენება.

გერონტი ქიქოძე.

რუსული პრესა

„მიწის სოციალიზაცია“

გაზეთი „რეჩი“ სწერს:

გუბერნიის მაზრაში მომხდარი ამბავი იმას მოწმობს, თუ რა მოჰყვება ჩერნოვისებურ მიწის სოციალიზაციას.

ბოგდანოვის სასოფლო საზოგადოებაში ჩერნოვის პროგრამა საგანგებით განხორციელდა მთელი თავისი უარსაყოფი მხარეებით. კერძო მესაკუთრეებს ჩამოართვეს ყველა მამულები და სოფლის სამამულო გამგეობის განკარგულებაში მყოფ საგანგებო სასოფლო სამამულო ფონდს მიუმატეს. ხსენებულმა გამგეობამ ბოგდანოვის სასოფლო საზოგადოებას 1918 წლისათვის მოსახვნელად მიუზომა სახაზინო სამამულო ფონდიდან მიწები „ბაშკირსკაია“ და „№ 646“, რომლებზედაც თვალი ეჭირათ აგრეთვე მულიუკოვის და დიდ რემიზენის საზოგადოებებს. ეს ორივე საზოგადოება შეერთდა და დადგინა: „სამამულო გამგეობამ, რომ მიწები მიუზომა ბოგდანოვებს, არც ერთი ქცევა არ დაუთმოთო“. მიზომილ მიწების დასათვალიერებლად ბოგდანოველებმა 50 კაცი გაგზავნეს. მაგრამ იქ მათ დახვდათ მულიუკოვის და დიდ რემიზენის ფიწლებით, სარებითა და კეტებით შეიარაღებული გლეხები 20 ჯარისკაცის მეთაურობით. ბოგდანოველების კაცებს ალყა შემოარტყეს, უმოწყალოდ სცემეს და გამოდევნეს, ხოლო 5 კაცი კი „ბრძოლის“ ველზე დასტოვეს. ბოგდანოველებს, სახლში რომ ბრუნდებოდნენ, მულიუკოვისა და დიდ რემიზენის სოფლის გამგეობის რამდენიმე პირი შეხვდათ. სცემეს ხეირიანად და გომურში ჩაამწყვდიეს „მძევლებად“, რომლებიც მხოლოდ დიდი მუდარისა და ლაპარაკის შემდეგ გაანთავისუფლეს. ბოგდანოველებმა მიწებზე ხელი აიღეს. მაგრამ ბოგდანოვის სასოფლო დაწესებულებათა შეერთებულ კრებაზე დაადგინეს: 1) სოფ. დიდ რემიზენის ზოგიერთი მოქალაქე დროებითი მთავრობის მტრად ჩაითვალოს და აეკრძალოთ მათ კრებაზე დასწრება და ხმის მიცემა. 2) ვიდრე დიდ რემიზენელები და მულიუკოველები უწესოების მეთაურთ არ გასცემენ, მანამდე მათთან ყოველივე კავშირი შესწყვიტონ.

მაგრამ მიწები მაინც გამარჯვებულებს დარჩათ.

„უფასოდ ჩამორთმევა“, ბ-ნი ჩერნოვი, და გაძარცვა ადვილი საქმეა, მაგრამ დატაცებულის გაყოფვა კი!.. ბოგდანოველთა ამბავი სოციალიზაცია მოხდენილ მომავალ რუსეთის სახეებაა.



სრულიად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი
კათოლიკოს-პატრიარქი

კირიონი მეორე

მათი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი მეორე

(ბიოგრაფიული ცნობები)

ნეტარი პატრიარქი კირიონი, ერისკაცობაში გიორგი, შვილია დეკანოზ იერონიმე სძალგლიშვილისა, რომელიც მისიონერობდა მთიულეთში და საკმაო ღვაწლიც მიუძღვის ოსთა გვარტომთა მოქცევაში. იგი დაიბადა 1855 წ., გიორგობისთვის ათში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილ. სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სასულიერო სემინარიაში 1880 წ. დამთავრა კიევის სასულ. აკადემია ღვთისმეტყველების ხარისხით. იმავე წელს იგი მიიწვიეს ოდესის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წ. სამშობლოში დაბრუნდება და თელავის სასულიერო სასწავლებელში გამწესდება. შემდეგ მსახურებს გორსა, ქუთაისს, ხოლო ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ ადიკვეცა ბერად და ქვითახევის მონასტრის წინამძღვრობა ჩაიბარა. 1898 წ. აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად.

ცხოვრებაში გამოსვლიდავე ყოველად სამღვდელო მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა სამშობლო ეკლესიის წარსულის კვლევ-ძიებას და ზოუნავდა მის აყვავებისთვის. 1901 წლიდან იწყება ეპ. კირიონის არაჩვეულებრივი დევნა რუსის სასულიერო მთავრობის მიერ. ადგილიდან-ადგილზე გადაყვანა და შევიწროვება. ეპ. კირიონს 1902 წ. კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გზავნიან, აქედან 1903 წელს ხერსონში გადაიყვანეს, 1904 წ. ორიოლის ეპარქიაში გადაჰყავთ, 1906 წ. სოხუმის ეპარქიაში, ხოლო 1907 წლ. 27 იანვარს, კვლავ ცივ რუსეთში—კოვნოს ეპარქიაში გადაჰყავთ, საიდანაც ზამთარში 1908 წ. სულ მთლად დაითხოვეს უეპარქიოთ. აქედან ეპ. კირიონის ნამდვილი წამება იწყება. უკანასკნელ ქართველ კათალიკოს ანტონ მეორის შემდეგ წამების ჯვარი, ეპ. კირიონს ხვდა. სიცივე, სიმშილი, მოსასტრიდან მონასტერში დევნა, უდაბნოში ცხოვრება, ყოველ ჟამს სიკვდილის მოლოდინში ყოფნა—აი ეპ. კირიონის ცხოვრების შინაარსი.

პირველად უადგილოდ დატოვებული ეპისკოპოსი ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის მონასტერში (ხარკოვის გუბერნიაშია) გაგზავნეს. აქ 10 თვე არც კი გააჩერეს, ისევ სინოდისაგან ბრძანება მოუვიდათ—სანანქსარის უდაბნოში (ტამბოვის გუბერნიაში) გადაიყვანეთო. იანვარში ავადმყოფი ეპისკოპოზი ჟანდარმებით მოსკოვის ეზით სანანქსარის უდაბნოში მიიყვანეს, სადაც ცივ ნოტიო ოთახში მოათავსეს და გადაცმულნი პოლიციელნი მიუჩინეს თვალყურის სადგებლად.

რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას ეპ. კირიონი ნიშანში ჰყავდა ამოდებული და არავითარ ცილისწამებას არ ერიდებოდა მის დასაღუპავად და საქართველოს ექსარხოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობაც კი დასწამეს. ამგვარმა ცილის წამებამ, როგორც საქართველო, აგრეთვე დემოკრატიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა ადაშფოთა. როდესაც ამ ცილისწამების შესახებ პრესის წარმომადგენელნი ევგენეკერორს (მაშინ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად იყო) შეეკითხნენ, მან უპასუხა: „ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონისა მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს. მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, საშუალებას არ ზოგავენ. ეპ. კირიონი ქართველ სამღვდელოებაში თვალსაჩინო პიროვნებაა, ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანია ავტოკეფალიისათვის, რასაც სინოდშიც გაბედულად იცავდა, ყველა ამას მთავრობა ვერ დასთმობდა და დევნა გამოუცხადა“... ამ დევნამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ბელგეთიდან „ადამიანის უფლების დაცვის ლიგის“ თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანმა ბრიუსელიდან 10 მარტს, 1909 წელს ყოფილს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვს სთხოვა დაეცვა ეპ. კირიონის პიროვნება წამებისაგან, მაგრამ ვერც საზღვარ-გარეთის და ვერც შინაურმა გამოსარჩლებამ ვერ შეუმსუბუქა ეპ. კირიონს ტანჯვა. დეკ. ი. ვოსტორგოვის სიტყვები: „ეპ. კირიონს ჩავანარჩობ და მთელ საქართველოს სისხლით მოვრწყამ“ (გაზ. „რეჩი“ № 72, 15 მარტი, 1908 წ). რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას უნდოდა სისრულეში მოეყვანა.

ამდენი ტანჯვა-დევნის შემდეგ ნეტარი მწყემსმთავარი მაინც ჰპოვებდა დროს მეცნიერებას ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. დიდია მისი სამწერლო მოღვაწეობა, როგორც მისი აშკარა თუ ფარული უხვი ქველმოქმედება, რამდენსაც კი გარემოება ნებას აძლევდა.

ყოველად ნეტარი კირიონი სამშობლოს დაუბრუნდა დიადი რევოლუციის წყალობით. ავადმყოფი, დასუსტებული იგი ახტალაზე გაეგზავნა სამკურნალოდ, ხოლო იქიდან დაბრუნებისას დაქვრივებული ეკლესიის საპატრონოდ მხარში ამოუდგა ქართულს სამღვდელოებას.

17 ენკენისთვეს იგი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დროს ალმოჩრჩულ იქმნა კათალიკოს-პატრიარქად, ხოლო ამ უწმიდესობის ხარისხზე განწამებული იქმნება დღეს, მცხეთაში, სვეტიცხოველში...

აღდგომილი ეკლესია

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი კეთილად არ მოევლინა საქართველოს: უკიდურეს გაჭირვებამდე მიყვანილი ერთის მხრივ გარს შემოხვეული მტრებისაგან და მეორე მხრივ შინაური მოუწყობლობით და არევ-დარევით, მცირე სამეფო იძულებული იყო დახმარებისათვის მიემართა რუსეთისათვის იმ მოსაზრებით, რომ უდიდესი ჩრდილო იმპერია ქომაგობას აღმოუჩენდა მას მოზღვავებულ მტრებთან საბრძოლველად და ამნაირად ქართველ ერს შეეძლებოდა თავისუფალი სახელმწიფო ცხოვრება.

შემდგომ ჟამთა სვლამ ცხად ჰყო, რომ ძლიერმა მოკავშირემ თვით გამოიჩინა აგრესიული მიდრეკილება და „ქადალდის ნაფლეთად“ აქცია ხელშეკრულობა საქართველოსთან. საერთაშორისო იურიდიულ აქტს თვითმყრობელობამ უბრალო ცალმხრივი დოკუმენტის ხასიათი მისცა და ამისადაგვარად ჩვენს საშობლოში აზდენდა მრავალ პოლიტიკურ ექსპერიმენტებს, რომლის ფინალი ავტოკეფალურ ეკლესიის გაუქმებაში გამოიხატა.

პოლიტიკურ სუვერენობის დაკარგვას თან დაერთო ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობაც! თუმცა ერთი მეორისაგან ეს ლოიკურად არ გამომდინარეობს, მაგრამ რუსეთის დესპოტია საზოგადოდ ვერ იწყნარებდა სადმე მის საზღვრებში თავისუფალ ერთეულების არსებობას, მით უმეტეს ისეთ გავლენიან დაწესებულების, როგორიც იყო იმ დროის ქართული ეკლესია.

ჩვენი ეკლესიის ასი წლის დამოკიდებულებას სინოდისაგან ჭეშმარიტად დაერქმის მუხრით ადსავსე მარტიროლოგი! ესოდენი ხნის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ დაჰკარგა წმინდა დამოუკიდებელი ეროვნული სახე და მრავალ მილიონად დირებული ქონება! ასი წლის განმავლობაში რუსეთის სინოდი ჩვენი ეკლესიისადმი ახდენდა, მის უწმიდესობის კირიონის დახასიათებით, ძალმომრეობის და უფლების შემლახველ აქტებს, და ამის გამო ეკლესია უადერესად დაქვეითდა ნივთიერად და შეირყვნა ზნეობრივადაც.

საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მზე რომ ჩაესვენა და ჩვენი ქვეყანა უბრალო პროვინციად მონათლეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სავსებით ეწინააღმდეგებოდა ტრაქტატის ძირითად დებულებებს, თვითმყრობელობის მოხელეთ მოიწადინეს ჩვენი ეკლესიის უფლების შელახვაც, ვინაიდან კარგად იცოდნენ ქართველი განათლებულ მღვდელ-მთავრების და საზოგადოთ საამღვდელოების დამოკიდებულება დამჩაგვრელებთან. საშიშ მახხილებელს თავიდან მოსაშორებლად განიზრახეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება. ტლანქი ხელით მოსპეს აღმოსავლეთის უძველესი ავტოკეფალური ეკლესია და იგი დაუმორჩილეს იმ დაწესებულებას, რომელშიც ყველაზე აშკარად მოქცეულია თვითმყრობელობის სიბინძურე!

საქართველოს ერი და ეკლესია მოსნობის მძიმე უღელს ატარებდა იმ დროიდან, ვიდრე თვით რუსის ხალხი არ აუმღვრევდა მარაბრიოსულ წყობილებას და აჯანყების ცეცხლში და ალში არ ჩასვა მომავალი თავისუფალი რუსეთი თანაბარი თავისუფლებით აღმურვილ ერებით. გათახსირებულ პოლიტიკურ სისტემას რევოლუციურ ხალხმა განაჩენი გამოუტანა, მის მრისხანე სამსჯავროს წინაშე გუშინდელი ყოვლად შემძლე ბრძანებელი ტირანიული წყობილება—დღეს შერცხვენილი სდგას ყველა იმ უსამართლოებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა მთელი ხალხის მიმართ, „რამეთუ ჭეშმარიტებითა და სამართლითა არიან სასჯელნი მისნი: რამეთუ საჯა მეძავი იგი დიდი, რომელმან განხრწნა ქვეყანა სიძვითა თვისითა, და გამოიძია სისხლი მონათა თვისთა ხელისაგან მისისა“ (გამოცხ. იოანესი XIX, 2).

საქართველოს პოლიტიკურ აღდგენას წინამორბედათ მოეყვლინა ეკლესიის განთავისუფლება. ქართველობა სიხარულით მიეგება განახლებულ და განწმენდილ მწმიდურ ეკლესიას და მის აღორძინებაში სამართლიანად იგრძნო საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური ახმაურება.

აღდგენილი საქართველოს კათოლიკე ეკლესია უდიდეს აქტს ახდენს დღეს: მცხეთის ათ—თორმეტ მოციქულთა საკათედრო ტაძარში იკურთხების სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი კირიონ მეორე. შესრულდა მრავალთა ნატვრა: ამიერიდგან ქართველთა ერის სარწმუნოებრივ გრძნობას ადარ შეჰბილწავს უცხოთა თავ-ადებული ბატონობა. მორწმუნე ქართველის დაჩოკიდებულებას უზენაესადმი ადარ დასჭირდება. ჩვენი ეკლესიიდან განიდევნება შეუსაბამო თეატრალობა, ხოლო მართველობაში მოისპობა ის შესაზარი მიუროკრატიული წესები, რომელიც ახშობდა სარწმუნოებას და მის ნაცვლად ამყარებდა კლერიკალობას და მწვალებლობას. განათლებული კათოლიკოზის დახმარებით ჩვენი ეკლესია ადადგენს ძველ მართივ წესებს და ნამდვილ ეროვნულ ადათებს; ჩვენი ეკლესია დაჰგმობს სინოდის ცეზარე-პაპის პოლიტიკას და მართვა-გამგეობის საქმეებს მოაწყობს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვე ცხოვრების პირობები.

ამ ღირსეულ საქმეში ეკლესია გამოიწვევს მთელი ქართველი ერის თანაგრძნობას და მაშინ უფრო გაადვილდება საეკლესიო საკითხების მოწყობა და ჩვენი ეკლესიაც ხალხის დახმარებით სძლევს იმ დაბრკოლებებს და წინააღმდეგობას, რომელსაც მას სინოდის კონტრ-რევოლიუციონერები უწევდენ.

რ. ინგილო

სვეტიცხოველთან

სულ ერთმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ამ ტაძრის ერთ-ერთ დანახვაზე, უცებ შემოკეთებული მწუხარების გამო, ჩვენი წარსულის დიდებულ ნაშთებს სხვათა შორის ასეთი სტრიქონებითაც მიგმართე: „დღეს ეერანანო, გულ-ჩათხრობილნო!.. მაგრამ ეს ხომ სულ ასე არ იქნება! ერთ მშვენიერს დღეს თქვენს გარეშემო სიხარულის ყიჟინით შემოერთდება თქვენი შვილნი, მოგეცემათ თქვენც შვება და ლხენა!“...

და აი, მხოლოდ ტანჯული გულის სანუგეშოთ წარმოთქმული იმედი, ეს ოცნება, სანატრელი დრო, დღეს სინამდვილედ გარდამქცეველა!

თავისუფალი შვილნი, თავისუფალ ტაძარში? ნეტა თუ არის კიდევ სხვა რამ თავისუფლების მატარებელი აღ-მიანის ულამაზესი! ნეტა თუ არის კიდევ სხვა რამ ბორკილ ახსნილი ერისათვის თავისუფლების განცდის უუტკბილესი!

დიდებულო ტაძარო! ამ ასის წლის განმავლობაში ეს დღე არას დროს არ გათენებულა შენთვის ასეთის შუქით! დღეს სულ სხვა ელფერით ლაპლაპებს შენი გუმბათი, სულ სხვა ხმაზე რეკავენ შენი ზარები, სხვა გვარად ესალმუნება მათი წკრიალი შენს წიაღში დაკრძალულ სამშობლოს გმირთა!

დღეს შენი საკუთარი მწყემსმთავარი თვისის გვირგვინოსნობით ხელახლა გვირგვინოსანს გყოფს, დღემდინ შეურაცხყოფილო ტაძარო! დღეიდან შენ გეყოლება გულშემატკივარი მფარველი, რომლის მამობრივი მზრუნველობა ერთგულად დაიცავს შენს მშვენიერებას, რის წარხოცვას, რის მოსპობას ისე ლამობდა უხეში ხელი! ხოლო ეს დიადი ლიტანია შენს გარშემო, ეს ალტაცება გამოუთქმელი ამაღლებულ ერის შურის ძიებაც ყველა ჩვენთაგანისათვის. დღეს ძირიან ფესვიანად იგლიჯება ის დვარძლი, რომელსაც ჩვენი ეკლესიის მოძალადე მეთაურნი გვითესავდნენ და რომლის მსხვერპლიც შეიქმნა ამ ღვარძლისა და შხამის თესვის დიდი მებრძოლი დიმიტრი ყიფიანი. ეს ტაძარი იყო უკანასკნელი ეტაპი სათუთად საყვარელი სამშობლოდან შეგუბრალებლად განდევნილი გმირისა! ამის კედლები იყო მოწამე მისი შეურაცხყოფილი, ამაყი სულის შეკავებული ქვითინისა და მანვე პირველმა მიიხუტა გულზე მისი ულვთოთ გაპობილი სისხლით შესვრილი ქაღალა თავი?..

დღეს იმის საფლავსაც მისწვდება სიხარულის ხმა, რომ ამას იქით ადარ ეყოლება მის ხალხს დამაწყევარი, შემაჩვენებელი მწყემს-მთავარი, რომ იმის უმწიკვლო სისხლიც ურეგია იმ ბოღმა-მორეულს, მტკიცე ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი ერის ყველა წოდებათა რჩეული შვილნი ეწეოდნენ და რომელთაც მიგვიყვანეს ამ სანეტარო თავისუფალ დროამდინა! მართალია, ამ თავისუფლებას ჯერ კიდევ თავს დასჩხავის შავი ყორანი, ჯერ კიდევ ეშუქრება შას მისი ბასრი ბრეკალები და რამდენადაც დიდია ჩვენთვის ეს განსაცდელი, იმდენადვე დიდია ჩვენი მოვალეობა მისი სამუდამოთ გამოხსნისათვის, მაგრამ... არ ვშიშობთ! რუსეთის რევოლუციას ჰყავს ქართველი მეომარნიც, მთელს მსოფლიოში საისტორიოდ სახელგანთქმულნი, სიამაყენი ქართველი დედის! მათ ბბარიათ დღეს სათავე ჩვენი თავისუფლების ახლად დაწმენდილ უკვდავ წყაროსი; მათ უჭირავთ სადავე მის დასაცავად დარაზმული ხალხისა! თავისუფლებას

ეს დიდებული პირველი ნაბიჯი შეაკავშირებს მათ ერთის გრძნობით და ეს ტაძარი დალოცავს მათ იმ წმიდა ნაბიჯისათვის, რომ სადაც ყველარ გაუბედავთ კეთილ-გონიერება, იქ მძლავრად დაატრიალონ თვისი მკვეთრი და ძლიერი მკლავი!

ამას ავალებს მათ საკაცობრიო თავისუფლების სახელი, ამას მოითხოვს მათგან დღემდინ გვემული და წამებული მაგრამ დღეს გაბრწყინვებული სვეტ-ცხოველი!

ნინო ყიფიანი.

ჭეშმარიტებას—დავითიც!

საქართველოს ჭაბუკნო!

დღეის ზეიმზე მრავალნი გეტყვიან: „ხარობს გვირგვინი თავისა ჩვენისა“...

ბრწყინვალე დღეებზე ატირებულნი მოგვასმენენ: „რა ვუყოთ, რომ სვეტი ცხოველი ოქროითა და ვერცხლით შეჭედილი არ გვხვდება.. არც თუ გაძარცულ წმიდა სამარტვილოზე გვმართებს ქვითინი..

დღეს სულ სხვა დღეა... იზეიმეთ!“..

და ჩვენც თითქოს მეტი არა გვმართებს რა, მოველით საერთო ზეიმზე, თითქოს მარტო მისთვის, რომ მამათა თუ პაპათა სიხარულით ვტკბებოდეთ!.

არა!

დაფიონის მოლოდინმა თუ იმედებით აანთო გული, პიროქროთი მოსილი სვეტის ცხოველის საკეთა მპყრობელი თუ ჭყონდიდელს გვაგონებს—რატომ არ კითხულობთ: „ვის ესარდლოს იგი?

სადაა დავით გვირგვინოსანი?

— არა სჩანს იგი..

დღეიდან ჩვენს გულში უნდა ინასკვებოდეს:

ჭყონდიდელს—დავითიც!

დეე მშობლები დღევანდელ ზეიმით დასტკბნენ, ჩვენ კი ვიძახოთ: „ჰაერში მოცურავე დროშა გვეუბნებოდა“..

ყველას ვაცნობოთ, რომ გვაფრთოვანებს:

„გაშალეთ დროშა მძლეველი
წვერ მახვი მტერთა ზარია“
ან და...
„ჰქუხდეს მაჟარი, შაშხანი
ვით ზეცის მეხ..ს გვარია“!..

თუ არა და ფრთებად მისრული ხმლებიც გვეყოფა!

ჩვენს მოლოდინში რაშები ლაგმებსა ღრღნიან.

ს. ითრდანიშვილი.

ომი და ზავი

დ ე კ ე ბ ე ბ ი

ალმოსავლეთის ფრონტი.

რუხეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ენკენისთვის 28. **ოფიციალი. ჩრდილოეთის ფრონტი.** პსკოვის გზატკეცილის ჩრდილოეთით მტერი ჩვენს მოწინავე ესპარეზებს უშენს. გზატკეცილის სამხრეთით ტიმერმანის რაიონში გერმანელები ძლიერ ცეცხლს ეფარებიან და ქიმიურ ყუმბარებით კერძო შემოტევას აწარმოებენ ლიკენგოფის რაიონში, იკობშტადტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 25 ვერსზე. მტერი დაძმობილებას ცდილობს.

დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და რუმინეთის ფრონტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ფრონტი. სოფ. კეგის რაიონში, ერძინჯანის სამხრეთ აღმოსავლეთით 85 ვერსზე—ოსმალთა მზვერავნი კონტრ-იერიშით გავდევნეთ. ვანის ტბის რაიონში ქურთების თავდასხმა მოვიგერიეთ. მათ ჩვენი საქონლის გატაცება ჰსურდათ. დიზორმარის მიმართულებით ჩვენებმა ენკენისთვის 19-ს ხელთ იგდეს სოფ. მარუფი და ენკენისთვის 20-ს ცხარე ბრძოლის შემდეგ სოფელი ჩალი დაიპირეს. ეს ორივე სოფელი მდებარეობს ურმიის დასავლეთით 140 ვერსზე. ტყვედ ვიგდეთ 250 ქურთი. ამასთან ჩვენ ხელშია მაუზერის სისტემის 50 თოფი, პატრონების საწყობები და 700 ცხვარი; ამას გარდა გავანთავისუფლეთ ტყვეობიდან 200 სომეხი ტყვე. მტერი ზაბას მარჯვენა მხარეზე გადავიდა და ხიდები ჩაშალა.

მფრინავთა მოქმედება. კავკასიის ფრონტზე შტაბსკაპიტანმა მაჰავარიანმა ოსმალთა ჰეროპლანი ჩამოაგდო. ჰაეროპლანს ცეცხლი ჰაერშივე წაეკიდა. ოფიცერი და მზვერავი ტყვედ წამოვიყვანეთ.

რუსეთის ჯარის მდგომარეობა

პეტროგრადი. ენკენისთვის 27. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროს დუხონინს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპოდენტისთვის უთქვამს. შესაძლოა მტერმა სხვა და სხვა ფრონტებით დაიწყოს შემოტევა, ამისათვის ჩვენი ჯარი მზადაა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს შესაძლებლობა დღითი დღე ბათილდება. ზამთრის მოახლოებამ ხომ მთლად შეასუსტა მტრის მოქმედება. იმედია, რომ სურსათიც გვექნება, უმთავრესი მხოლოდ სურსათის მიწვდა იქნება. მიღებულია ზომები, რომ როტების რიცხვი შევამციროთ, მაგრამ ვეცდებით რომ ფრონტზე ჯარი კი არ შემცირდეს. დასასრულ დუხონინმა სთქვა; ჩვენი ჯარების იმედი კიდევ მაქვს, საქმეს გამოვასწორებო. მაგალითისთვის მოიყვანა: ენკენისთვის 23-ს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ერთ ერთ პოლკმა დაატყვევა 12 ოფიცერი და 750 ჯარისკაცი. მანვე ხელთ იგდო 7 ტყვიისფრქვეველი.

დასავლეთის ფრონტი.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. ენკენისთვის 29. ოფიციალი. მიუხედავად უამინდობისა ჩვენი მფრინავები ჩვეულებრივად მარჯვედ მოქმედებენ; რულერსა, კურტესა, მენენსა და დელეგემში ერთი ტონა ყუმბარები ჩამოყარეს. დაუშინეს აგრეთვე გერმანელთა მატარებელს, რასაც რამდენიმე აფეთქება მოჰყვა. ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელთა 4 ჰაეროპლანი, 2 ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო. ჩვენ გვაკლია 2 საფრენი.

ლონდონი. ენკენისთვის 29. გუშინ იპრ-სტავენის რკინის გზაზე გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ, სწარმოებდა ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლები. ჩვენი ჯარი წინა დღით ალებულ პოზიციებს ამაგრებს და ჯერჯერობით ტყვედ წამოვიყვანეთ 29 ოფიცერი და 2038 ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე საველე ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველი და სასანგრო ზარბაზანი.

დემობილიზაციისთვის.

ლონდონი. ენკენისთვის 27. შრომის მინისტრმა რობერტსმა მანჩესტერში სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის მან აუწყა კრებას, რომ მთავრობას აზრადა აქვს დემობილიზაციის მოხდენა უმთავრესად მუშათა ორგანიზაციებს დაეკისროს. ამიტომ სათანადო ორგანოების სახით ინგლისის ყველა ქალაქებში უნდა მოეწყოს შრომის ბირეებიო.

ეგვიპტის ახალი სულთანი.

ქაირი. ენკენისთვის 27. ეგვიპტის გარდაცვლილ სულთანის შვილმა ტახტზე ასვლა არ ინდომა. გვირგვინი დაიდგა წინა სულთანის ძმამ ფუად პერველის სახელით პრინცმა ახმედ ფუადმა.

სესხი მოკავშირეებს

ნიუ-იორკი. ენკ. 27. ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა ახალი სესხი მისცეს ინგლისსა და საფრანგეთს, თითოს 40 მილიონი დოლლარი. ამერიკას მოკავშირეებისთვის დღემდე უსესხებია 2,500,000,000.

ზავის საკითხი რეიხსტაგში

სტოკჰოლმი. ენკ. 28. „ვოლფის“ ცნობით გერმანეთის საგარეო მინისტრმა კიულმანნმა სთქვა: ზავის ჩამოგდებისაკენ მიმართული ჩვენი ცდა უნაყოფო გამოდგა. მოკავშირეთა პრესისა და პასუხისმგებელ პირთა გაცხადებების მიხედვით ჩვენი მტრები რომის პაპის ნოტას პასუხს არ გასცემენ. ევროპის ომის მთავარი საკითხი ბელგიისა კი არა ელზას-ლორენისაა. სწორედ ამ საკითხში გერმანეთი ვერას დაუთმობს საფრანგეთს. ამ საკითხის გარდა არ არის ისეთი საკითხი, რომელიც შეუძლებელი იყოს ისე გადასწყდეს, რომ ისტორიამა და ხალხმა ზარალი ვერ აინაზღაუროს.

ქართული დროშა

(ქართველ მხედრობას)

მოგვაქვს დროშა აბრეშუმის, ოქროს ფერი ასოებით,
ყველა უნზერს მოწიწებით, სიხარულით სასოებით,
მოდის ხალხი, იკრიბება დღევანდლამდე დაქსაქსული
და მოიმღერს: „ერს არ მივცემთ, ვიდრე პირში გვიდგა სული
თამარსა და შოთას ვფიცავთ, ამ დანგრეულ მონასტრებსა,
გავავფითრებთ სიკვდილივით საქართველოს ფრიცხვ მტრებსა.
ყური უგდეთ ჩვენს სიმღერას, ყური უგდეთ ჩვენს მოძახილს,
ისეც ტანჯულ ივერიას ნუღარ ჩასცემთ გულში მახვილს.
განახლებულ წითელ დროშას დავაწეროთ ყველამ ერთად:
ერი იყოს მუდამ ჩვენთვის სათაყვანო სულის დმერთად“.

ი. დარიშვილი.

რუსეთის რესპუბლიკა

დ ე კ ე ბ ე ბ ი

ეგრალთა დარბევა

ხარკოვი. ენკენ. 28. ქალაქში პირველ საჭიროების ნივთებმა იკლო. ხმებია, რომ საქონელი გადამალული აქვთ; ბოროტგანმზრახველნი სძარცვენ ვაგონებს. წეხელი აგიტაციას ეწეოდნენ დარბევის მოსაწყობად- არბევდნენ ებრაელებს. გამოიცა პროკლამაციები, რომლითაც ებრძოლთა ამოხოცვას მოუწოდებენ. ადგილობრივ სამანფუფქტურო მაღაზია. მეამბოხეებს ჯარისკაცების ტანისამოსი აცვიათ. ქალაქის საბჭომ, საზოგადო კომიტეტმა, სამხედრო და დიპუტატთა საბჭოებმა ხალხს მოწოდებით მიმართეს, სთხოვენ დაწყნარებას.

ქალაქის თავი ქურდი

გლაგოვეშჩენსკი. ენკენ. 28. ხაბაროვსკის ქალაქის თავი მოლშევიკი მალიშევი, რომელმაც სახაზინო ფული გაფლანგა, მიითვისა რამდენიმე ათასი მანეთი პარტიის ფული, რაც-კი ვაპრებში მოჰკრიბა ბოლშევიკურ გაზეთის გამოსაცემად, და შემდეგ გაიპარა, ეხლა ხარბინში დაატუსაღეს.

უფესოება ტირასპოლში

ოდესა. ენკენ. 29. ტირასპოლში უფესოება დაიწყო. გაიგზავნა 50 წითელ გვარდიელი და გაიდამაკის კურეანის 400 ჯარისკაცი.

ახალი უნივერსიტეტი

იალტა. ენკენ. 27. ქალაქის საბჭომ დაადგინა გაიხსნას უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ფიზიკომატემატიკურ განყოფილებით.

უფესოება ჯარში.

მთავარი ბანაკი. ენკენ. 28. ლეტიკის მაზრაში მომხდარ უფესოების გამო ბრძანება გამოიცა, რომ უფროსებმა კომიტეტებთან ერთად გაგზავნა იქონიონ ჯარზე, რათა წესიერება დაიცვან, რადგანაც წესიერების აღსადგენად, თუ საჭირო გახდა, შეიარაღებული ძალა იქნება ნახმარი. სოფ. მარკოვეცში დაარბიეს და გადასწვეს არყის გამოსახდელი ქარხანა. მთელ მაზრაში გაფუჭებისა და ჯარისკაცების წყალობით ქურდობა და ძარცვა-გლეჯა სწარმოებს. ჯარისკაცებმა გაანადგურეს ბრაილოვკა. რამდენიმე ალაგას გაანადგურეს სპირტის საწყობები. უფესოდ სჩანან სახაზინო და კერძო მესაკუთრეთა ტყეებს. ბრძოლის ველზე მიმავალმა ჯარმა რამდენიმე მაზრა გააოხრა.

კერენსკის ავადმყოფობა.

მთავარი ბანაკი. ენკენ. 28. კერენსკი გაციებულა და თავს ცუდათა გრძნობს. მთელი დღე ლოგინში იწვა და ისე ისმენდა საჩქარო მოხსენებებს. მდგომარეობა საშიშო არ არის.

მთიელთა დივიზიაზე თავდასხმა.

დონის როსტოვი. ენკენ. 28. კავკასიაში დასასვენებლად მომავალ მთიელთა დივიზიის წინააღმდეგ პროვოკაციას ეწევიან. რამდენიმე სადგურზე ნამდვილი შეტაკება მოხდა—ერთის მხრით ჯარისკაცთა და მცხოვრებთა და მეორეს მხრით დივიზიელთა შორის. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

ყაზახთა მოთხოვნა

დონის-როსტოვი. ენკენ. 28. ნოეოჩერკასკის ყაზახთა ჯარმა მთავრობას დეპეშით სთხოვა დამფუძნებელ კრების მოწვევა 2 თვით გადასდოს, რადგანაც საარჩევნო დებულებანი და ნაკაზი ერთობ გვიან აქნა მიღებული.

კორნილოვის საქმე

მთავარი ბანაკი. ენკ. 28. ოფიციალ ცნობებით გენ. დენიკინის, ელსნერის, მარკოვის და სხვათა ბერდიჩევიდან ბიხოვში გადაყვანის დროს იმ შენობას, სადაც ეს გენერლები იმყოფებოდნენ, ჯარის კაცთა ბრბო შეიჭრა და მოითხოვდა გენერლები სადგურამდე ფეხით წაეყვანათ. ექსცესების თავიდან ასაცილებლად მათი მოთხოვნილება აასრულეს. გზაში ჯარი წესიერებას არღვევდა. სადგურებზე მოითხოვეს გენერლები მგორე კლასის მგზავრად სატუსაღო ვაგონით გაგზავნილ. რადგანაც ასეთი ვაგონი არ იყო, ისინი სათბობ ვაგონით გაგზავნეს.

მზადება დამფუძნებელ კრებისათვის

ბოლშევიკების წარმომადგენლები.

პეტროგრადი. ენკენ. 28. „რაბოჩი პუტ“-ში გამოქვეყნებულია დამფუძნებელ კრებაზე ასარჩევ ბოლშევიკების სია; თავში ლენინისა და ზინოვიევის გვარებია.

ახალ დროებით მთავრობის დეკლარაცია

(დასაწყისი *)

პეტროგრადი. ენკენ. 26. ჩვენს სამშობლოს კვლავ არდგევეს არეულობა. მიუხედავად იმისა, რომ მარჯვედ ჩავაქრეთ კორნილოვის აჯანყება, მისგან გამოწვეული რყევა თვითონ რუსეთის რესპუბლიკას უქადის [დადუპვას.] ანარქიის ტალღები მძლავრად [წ]ყვებიან სამშობლოს. კონტრ-რევოლუციონერები თავს იმაღლებენ იმ იმედით, რომ მთავრობის კრიზისი და სამშობლოს დაუძლურება ხელს შეუწყობენ ჩაკლან ხალხის თავისუფლება. დიდია, მეტადდიდია ჩვენი, დროებით მთავრობის პასუხისმგებლობა ერის წინაშე. მძიმე პასუხისმგებლობას გვიადვილებს მხოლოდ ის რწმენა, რომ სამშობლოს ხსნით გასსვავულნი ყველა კლასთა წარმომადგენელნი შეიგნებენ [საერთო] მიზანს—გვერდით ამოუდგებიან დრ. [მთავრ.], გადასწყვეტენ დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებს და დანარჩენ წყულთაგან გადარჩენილს დამფუძნებელ კრებამდე მიიყვანენ. დამფუძნებელი კრება კი, დროებით მთავრობის ღრმა რწმენით, არც ერთი დღე არ გადიდება. დამფუძნებელი კრება, ეს უმაღლესი პატრონი რუსეთისა საბოლოოდ გადასწყვეტს ყველა იმ საკითხებს, რომლებზედაც რუს ერის კეთილდღეობაა დამოკიდებული. ეხლანდელი დრ. მთავრობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა დარგში გულმოდგინე შრომა მოხსნის დროებით მთავრობას თავის მოვალეობას და ერის არსებით საჭიროებას დააკმაყოფილებს.

ერაკნული საკითხი

ფინლიანდია და რუსეთი

სეიმის არჩევნების შედეგი.

ჰელსინგფორსი. ენკენისთვის 28. სეიმის არჩევნების საბოლოო შედეგი ასეთია: სოც.-დემ. მიიღეს 89, ბურჟუაზიულმა ბლოკმა—51, აგრარიებმა—26, შვედელებმა—21.

ლიტველთა სახელმწიფო

ციურიხი. ენკ. 26. ლიტველთა ბიურის ცნობით ვილნოში შემდგარ ლიტველთა სეიმმა დაადგინა, შეჰქმნას ლიტველთა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მართვა-გამგეობის ფორმას ლიტველთა მომავალი დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს.

უკანასკნელი დეკეშები

ირ. წერეთელი სამშობლოსკენ

ივნისისთვის 1-ს წამოვა.

—

პარიზის კონფერენციაზე დემოკრატიის წარმომადგენლად სკობელევი იგზავნება.

—

პეტროგრადის ფოსტის მოხელენი მინისტრ ნიკიტინის გადაყენებას მოითხოვენ. თუ სოციალ-დემოკრატების ცენტრალ კომიტეტმა ნიკიტინის დემოკრატიულ პარტიიდან გამორიცხვა მოითხოვა ნიკიტინი შინაგან საქმეთა მინისტრობას თავს დაანებებს.

—

წერეთელმა და ჩხეიძემ განუცხადეს კონოვალოვს, რომ ცენზიან ელემენტებსა და დემოკრატიის შორის შეთანხმების დროს კვლავ კამათს ჰქონდა ადგილი.

—

პეტროგრადის დაცლას არავითარი შედეგები არ მოჰყვა. პეტროგრადის მცხოვრებთა რიცხვი უფრო იზრდება.

—

სრულიად რუსეთის ხალხის თავისუფლების პარტიის ყრილობა ივნისის 14 მოხდება.

—

ტობოლსკის გუბერნიაში მდიდარ ადგილ-მამულების პატრონი თათრები აღწერის ყველა კითხვებზე უპასუხებენ: „მოგვეცით მეფე“-ეო. თათრებს ეშინიათ, ახალ მთავრობამ მიწა არ წაგვართვაო.

ქრონიკა

თბილისი

✦ მცხეთობა და კათოლიკოსის კურთხევა. დღეს, მცხეთობა დღეს, მცხეთის ათთორმეტთა ტაძარში მოხდება კურთხევა მისის უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოსის პატრიარქის კირიონ მეორისა და ქუთაისის მიტროპოლიტის ანტონისა, ხოლო ხელთდასხმა ჭყონდიდის მიტროპოლიტის აბროსისა. დიდძალი ხალხი მიემგზავრება მცხეთას. დანიშნულია საგანგებო მატარებლები, რომელთა მიმოსვლა ყოველ საათში მოხდება მცხეთისა და თბილისის შუა.

✦ საოლქო ყრილობა სოც.-დემ. პარტიისა გაიხსნა თბილისში, სახალხო სახლში, გუშინ, ენკენისთვის 30-ს გამოცხადდა 150-მდე დელეგატი, კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნ. ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგებად ნ. რამიშვილი და არ. ზურაბოვი, მდივნებად კ. ნინიძე, გ. ცინცაძე და ნ. იმნაიშვილი.

✦ პოლონელთა დღესასწაული. ხვალ, ივნისის 30-ს, თბილისელ პოლონელების თაოსნობით რომის კათოლიკეთა პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი პოლონელთა სახალხო გმირის კოსციუშკოს გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად.

✦ ქართველ სტუდენტთა საზოგადოება. თბილისის პოლიტექნიკუმის სასოფლო-სამეურნეო ნაწილის ქართველ სტუდენტთა ინიციატივით დაარსდა **ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოება.** საზოგადოება პოლიტიკურ პარტიათა გარეშე სდგას და მიზნათ დასახული აქვს გაუადვილოს თვითეულს წევრს სამეურნეო მეცნიერებისა და კერძოდ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შესწავლა. ხელი შეუწყოს სტუდენტ-აგრონომთა სოფელთან დაახლოებას და გლეხურ მეურნეობის შესწავლას. უკვე შეიმუშავეს და დამტკიცეს საზოგადოების წესდება, აირჩიეს გამგეობა 5 კაცისაგან შემდგარი. ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების მდივანთან ამხ. დავით ალლაძესთან. (ვარდისუბნის ქუჩა № 30). ყოველ დღე 12 საათიდან 2-მდე.

✦ ინცინდენტი მილოვის მაღაზიასთან. მე-7 უბნის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ნ. ტერმინასოვს, კომიტეტისავე ბლანკზე ბარათი გაუგზავნია ძმ. მილოვების მაღაზიაში: კომიტეტი გთხოვთ გამოგზავნოთ თავმჯდომარისა და ათი კაცისათვის სამყოფი ტილოო. ხელს თვითონ ს. ნ. ტერმინასოვი აწერდა. მაღაზიასთან ჩამომწკრივებულმა ხალხმა რომ გაიგო ეს ამბავი, ბარათის მომტანი კიდევ გაგლეჯა. მილიციონერები მოცვივდნენ და მაღაზია განადგურებისგან იხსნეს.

✦ სწავლა-აღზრდის საქმე. დღეს დილით, ივნისისთვის პირველს, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში დანიშნულია საპედაგოგიო სამეცნიერო კომისიის სხდომა. სამშაბათს, ივნისისთვის 3-ს დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის სხდომა სამოსწავლო პროგრამის გადასათვალიერებლად.

✦ ნაციონალიზაციისთვის. ავლაბრის სავაჭო და საქალაქო გიმნაზიების გამგეობა ამით აცხადებს, რომ საანბანო და უმცროსს კლასებში გაიხსნა ქართული განყოფილებები. ორივე განყოფილებისათვის საჭიროა შეგირდები. ქალები და ვაჟები. რუსული ენის უცოდინრობა არ დააბრკოლებს. ვაჟების თხოვნა მიიღება ვაჟების გიმნაზიაში, ქალებისა—ქალებისაში ყოველ დღე. [illegible] 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. თხოვნების მიღება—ივნისისთვის 6-დე.

✦ იღუმენია ანასტასია და ბოდბის მონასტერი. თანახმად სრულიად საქართველოს კათალიკოზის განკარგულებისა, მონასტრების არქიმანდრიტს უნდა ჩაეგზავნინა იღუმენია ანასტასიისაგან ბოდბის მონასტრის მეტოქი („პოდვორიე“) და მთელი ქონება თბილისში. მიუხედავად მრავალჯერ მოთხოვნილებისა, დედა ანასტასიამ კათალიკოსის განკარგულება არ შეასრულა. ენკენისთვის 29-ს მეტოქში მოვიდნენ არქიმანდრიტი ნაზარი და მილიციის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ტატიშვილი მილიციონერთა თანხლებით, მაგრამ იღუმენია ანასტასიამ მაშინაც გადაჭრით უარი განაცხადა. საქმის გარემოება ეცნობა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს.

✦ თ-დი დ. ო. ნიეარაძე თბ. ჩამოვიდა. დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიეარაძე და სასტუმრო „ჩრდილოეთის ომმრეებში“ დაბინავდა. იგი დეპუტაციის თანხლებით ხვალ, პირველ ივნისისთვეს, დაესწრება მცხეთაში სრულიად საქართველოს კათალიკოზის ქუთათელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტების კურთხევას.

✦ კიდევ მატარებელზე თავდასხმა. არგუნ-ჯალკას შუა მატარებელზე თავდასხმის დროს მოუკლავთ 20, მძიმედ დაჭრილია 50, დანარჩენი დაშავდნენ. ორთქლმავალი მთლად დამწვარა, ვაგონები ნაფოტებად ქცეულა. საფოსტო ვაგონი ნამტვრევებს ქვეშ მოჰყოლია, ამას გადაურჩენია მძარცველებისაგან. მგზავრებისთვის ბოროტგამზრახველებს ყველაფერი წაურთმევიათ ყაჩაღებს და მიმალულან. თავდამსხმელები 70-მდე ყოფილან. ლიანდაგი 50 საჟენზეა აყრილი. გაწვეულია ჯარი.

✦ მარტყოფის გასაჭირი. მარტყოფს წლეულს 1000 დღიური მომკილი და მოსამკალი პური დაეწვა. აღნიშნულმა უბედურ შემთხვევამ მთელი მარტყოფი აუწერელს მდგომარეობაში ჩააყენა. სოფელს არ მოეპოვება არც დღიური ლუკმა და არც სათესლე. მარტყოფელებმა ეს ამბავი საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს შეატყობინეს და დახმარება სთხოვეს, მაგრამ სოფელს ჯერ არაფერი მიუღია. საჭიროა სწრაფი ყურადღება და დახმარება.

ფეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში, კათალიკოსის დეპეშაში შემდეგი შეცდომაა: დაბეჭდილია—სასულიერო სკოლებში ქართველები შეადგენენ უმნიშვნელო ნაწილს. უნდა იკითხებოდეს: ქართველები არ შეადგენენ უმნიშვნელო ნაწილს.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება

12 მაისს, 1917 წელს, ქ. თბილისში მოწვეული იყო კრება, რომელსაც დაესწრნენ ყველა ქართულ საზოგადოებრივ საკულტურო საგანმანათლებო და საკრედიტო დაწესებულებათა თავმჯდომარენი, დრო გამოშვებით გამოცემებისა და ქართულ მომქმედ პოლიტიკურ დასების მთავარ-გამგეობათა წარმომადგენელნი.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსების აუცილებლობის შესახებ, რომელშიაც ქართული სამეცნიერო განათლების მოკლე მიმოხილვა იყო მოყვანილი, ხოლო შემდეგ ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა სხვა და სხვა ხრივ იყო დასაბუთებული, ხოლო შემდეგ განმარტებული იყო ამ საქმის განხორციელების შესაძლებლობა და გეგმა.

კრების თავმჯდომარედ ე. თაყაიშვილი იქმნა არჩეული. ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ კრებამ ერთხმად თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება აუცილებელ საჭიროებად სცნო და დაადგინა, თუ დამაბრკოლებელი მდგომარეობა ხელს არ შეუშლის, უკვე 19[illegible] წ. დამდეგიდან გაიხსნას ქართული [illegible]ნივერსიტეტის ჯერ ერთი ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ, წინასწარ გეგმისდამიხედვით, თანდათანობით დანარჩენი ფაკულტეტები მიემატოს, სანამ სრულ უნივერსიტეტად არ იქცევა. ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, რომე-

ლმაც ამ დაწესებულების დაარსებაზე და ქონებრივ მხარეზედ უნდა იზრუნოს. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ თავისი თავი დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და წესდების შესამუშავებლად, სათანადო დაწესებულებაში წარსადეგნად და საქმის განსახორციელებლად კომისია აირჩია, რომლის წევრებად არიან: კ. ნ. აფხაზი, ე. ს. თაყაიშვილი, ი. მ. ლორთქიფანიძე, მ. ა. გრუზინსკი, გ. დ. ყურული, ფ. გ. გოგიჩაიშვილი და ივ. ა. ჯავახიშვილი. კრებამ აგრედვე დაადგინა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრთ ბ-ნ აკაკი ჩხენკელს და კიტა აბაშიძეს ეთხოვოთ, რომ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.

ამავე წლის 17 მაისს ქალაქ ქუთაისშიაც იყო მოწვეული საკულტურო, საგანმანათლებო, საფინანსო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება რომელზედაც ივ. ა. ჯავახიშვილმა იგივე მოხსენება წაიკითხა. კრების თავმჯდომარედ ი. ოცხელი იყო არჩეული. მსჯელობის შემდეგ მთელმა კრებამ, ორის წინააღმდეგ, მომხსენებელის აზრი მოიწონა და თბილისში ქართულ უნივერსიტეტის დაარსება საჭიროდ სცნო. თბილისის კრების მსგავსად ქუთაისის კრებამაც თავისი-თავი ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა და ათი კაცისაგან შემდგარი კომისია აირჩია: ი. ბაქრაძე, გრ. გველესიანი, მ. თაქთაქიშვილი, ა. ლორთქიფანიძე, ი. ოცხელი, ი. პურადაშვილი, მ. წერეთელი მ. ფალავა და ვ. ჭილაძე, რომელთაც თბილისის კომისიასთან ერთად, განზრახულ საქმის განხორციელებაზედ უნდა ეზრუნათ.

კომისიამ ქართ. უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი და ამ დებულებათა განმარტებითი მოხსენება შეადგინა და სათანადო დაწესებულებებს წარუდგინა. ქონებრივ სახსრის გამოსაძებნადაც რამდენიმე გეგმა არის შემუშავებული და ქართულ უნივერსიტ. საზოგადოებისათვის ერთ დიდ თანხის გადასაცემად შესაფერისი ნაბიჯიც არის გადადგმული.

რაკი ქართულ პარტიათა შორის შეთანხმების შემდეგ ეროვნული საბჭო დაარსდა, ივ. ა. ჯავახიშვილმა ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ ეროვნულ საბჭოშიც მოხსენება წაიკითხა და საქმის ვითარება გააცნო. ამასთანავე მოხსენებელმა ეროვნულ საბჭოს სთხოვა ქართულ უნივერსიტეტის დაარსებისათვის თავისი დასტურიც მიეცა. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაადგინა: ქართულ უნივერსიტეტის დაარსება თბილისში აუცილებელ საჭიროებად იყოს ცნობილი და უკვე ათას ცხრაას თვრამეტ წლის დამდეგიდან გაიხსნას იგი.

ამის გამო ქართ. ეროვნ. საზოგადოების თბილისის კომისიამ გადასწყვიტა 2 ოქტომბერს სალამოს 8 საათზედ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა № 11) ხსენებული საზოგადოების წევრთა პირველი საზოგადო კრება მოიწვიოს, რომელზედაც საზოგადოების გამგეობა და საკონტროლო საბჭო იქნება არჩეული. ამ დღეებში ყველა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული იქნება ხსენებული საზოგადოების წესდება და ივ. ა. ჯავახიშვილის მიერ დამფუძნებელ კრებაზედ წაკითხული მოხსენებანი.

ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებად ჩაწერა შეიძლება ილ. ე. ზურაბიშვილთან (დეპუტატთა საკრებულო, ფრეილინის ქ. № 11). დამფუძნებელი წევრი იხდის წლიურად 25 მან. ერთდროულად 300 მან. ხოლო დახმარე წევრი წლიურად 5 მან., ერთდროულად კი 100 მან.

წერილები პეტროგრადიდან

ცხოვრება პეტროგრადში ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ მარადილი გითხრათ, არც კი ვიცი საიდან დავიწყო! ჯერ ერთი გარეგნობა ელვასავით იფეთქებს და უცბათ მეორეს უთმობს ადგილს, გაგიკვირდებათ სატახტო ქალაქში კი არა ქართ, სადაც ვაი-ვაგლახით იქედებაკ ქიმაკალი ბედი ვეებერთელა რუსეთის რესპუბლიკისა, ანამედ სადმე „თავისუფალ ზიხართ კინემატოგრაფში და ცნობის მოყვარეობით გატაცებული თვალს ადევნებთ ეკრანზე მომქმედ პირთ.

ჯერ თვალის მოკვრაც ვერ მოგისწრიათ, რომ სურათი იცვლება და საუკუნოთ იკარგება თვალთაგან, არა თუ სურათი,—თვით მომქმედნი პირნიც.

საოცრებას და თან სამწუხარო საბახთამას წარმოადგენს დღეს რუსეთი, ეს ვეებერთელა, უზარ-მაზარი სახელმწიფო, რომელმაც დიდი ხნის, მთელი საუკუნის მეცადინეობით, მისმა საუკეთესო შვილებმა შესძლეს განთავისუფლება თვითმყრობელობის არტახებიდან, მაგრამ, როგორც დიდი ხნით დახუთულ და აშმორებულ ადგილს ნამყოფი ვერ იტანს წმინდა ჰაერს და გრილ და საამურ სიოსგან ცივდება და ავათ ხდება, ისე დიდი ხნის მონობაში ნამყოფმა რუსეთმა ვერ აიტანა ის მთელი კონა თავისუფლების სხივებისა, რომელიც უცაბედათ მას მოეფინა. რუსეთმა ვერ გაუძლო, ვერ გაუჩერა თვალი თავისუფლების ბრჟყვიალა სხივებს, თავ-ბრუ დაესხა და ლოგინათ ჩავარდა.

მკურნალებიც გაუჩნდნენ, მაჯას უსინჯავენ ავათმყოფს, იგინი ერთხმათ აღიარებენ, რომ ავათმყოფი შეპყრობილია ერთგვარი ფრანეული სენით, რომელსაც რევოლუცია ჰქვია, რომ ეს სენი მალე გაივლის, რომ რუსეთი, როგორც წითელით შეპყრობილი ბავშვი, მალე მოიხდის ამ სახადს. ექიმები არც იმას ფარავენ, რომ სენი, თუმცა უბრალოა, მაგრამ ავათმყოფს თუ მოვლა დააკლდა, შეიძლება ამ უბრალო სენმა გადატანოს იგი...

რუსეთს ერთ დროს უხდება საშინელ მტერთან გამკლავება და შინაურ პარტიების შფოთის და არეულობის ჩაქრობა. ამას დაუმატეთ ცარიელ, გაუქმებულ ტახტის დაჭერის ესურველთა ალაგმვა.

ნურავენ იფიქრებს, რომ გენ. კორნილოვის ღალატი და დონის ყაზახთა ატამანის კალედინის მუქარა და ყაზახთა შორის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ქადაგება, მარტო ამ ორი გენერლის საქმე ყოფილიყოს.

მათ უკან მთელი შეძლებული, ცენზიანი რუსეთი დგას, მათ მხარს უმაგრებდა რუსეთის ერთი უდიდესი და უმთავრესი, მდიდარი და განათლებული კადეტების პარტია. ამ პარტიის ბელადებს ცხადათ და სიზმრათ სამინისტროს პორთფელები ელანდებათ თვალებში. ამ პარტიის ბელადი მილიუკოვი არაფრის წინააღმდეგ არ შერჩენდება, ოღონდ ხელმწიფეს ჩაიგდოს ხელში და მართებლობას სათავეში მოექცეს. ეს სურვილი, ეს მისწრაფება მას ერთგვარ ავათმყოფობათ გარდაქცეულა.

გენ. კორნილოვის ღალატის გამოაშკარავებამ და ამ ღალატში კადეტების უტყუარ მონაწილეობის მიღებამ, კადეტების პარტია დიდი ხნით ჩამოაშორა ხელმწიფეობას და მართველ წრეებს. ახლა ისეთი დიდი უბსკრულია გათხრილი კადეტების და მართველ წრეების შორის, რომ მათი დაახლოვება არაფერი გზით ადვილ მოხერხდება.

კადეტები ყველა შარა გზაზე და სახლების ბანებზე ფიცხლობენ, რომ ისინი არაფერ შუაში არიან კორნილოვის ღალატში, თუ მათი სიტყვით, გენ. კორნილოვის პატრიოტულ მოქმედებას ღალატს დაუძახებთ.

კადეტები და მათი ბელადი მილიუკოვი პირველ დღიდან ღალატის გამოაშკარავებისა, ცდილობენ ჩაეფეხჩეჩებიათ კორნილოვის მოქმედება და მოენათლათ იგი თავგანწირული მამულიშვილის სულისკვეთებათ.

როგორც ახლა ირკვევა, ჯერ კიდევ აგვისტოში, მოსკოვის თათბირის დროს, მეამბოხეებს განზრახვა ჰქონიათ გენ. კორნილოვის დიქტატორად გამოცხადებისა და დროებითი მთავრობის შეპყრობისა, მაგრამ, რადგან იქ ვერ მოეხერხებინათ, სხვა დროისთვის გადაეტანათ თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა.

რადგან მოსკოვის აგვისტოს თათბირში ვერაფერ დაეკმაყოფილა და არც არავითარი შედეგი იქონია, რომ ჩვენი მართველობა გამოეყვანა იქ ტლაპოდან, რომელშიაც ჩავარდნილა, ამისთვის ცენტრალ კომიტეტმა ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოსამ განიზრახა მოეწყვიტა პეტრეს ქალაქში დემოკრიტიული კრება.

კრება გახსნა 14 ენკენისთვეს ნ. ს. ჩხეიძემ ალექსანდრინის თეატრში, რომელზედაც დაესწრო არა ნაკლებ ორი ათასი კაცისა. ჩხეიძემ პირველად მიმართა კრებას სალამით და განმარტა მიზანი დემოკრატიულ კრების მოწვევისა. მან, სხვათა შორის, სთქვა, თქვენ მოგიხმეთ სათათბიროთ, საჩქაროთ, თუ როგორი მართებლობა შეადგინოთ, კოალიციური, თუ ერთფეროვანი, შემდგარი მარტო სოციალისტების წარმომადგენლებისაგან.

ჩხეიძემ რო სიტყვა გაათავა, სამინისტროს ლოჟიდან თავის ამალით გამოემართა სცენისკენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და უზენაესი მხედართმთავარი ჯარისა ალ. ფ. კერენსკი. რომელიც კრებამ ტაშის ცემით და ოვაციებით მიიღო.

კერენსკი ჩქარის ნაბიჯით ავიდა სცენაზე, პირდაპირ გაემართა თავმჯდომარისკენ, ხელი ჩამოართვა და მიესალმა, აგრეთვე მიესალმა სხვა წევრებს პრეზიდიუმისას. ყველას ხელი ჩამოართვა მაგრათ, უცბათ მობრუნდა მერმე კრებისკენ, კოხტათ ცოტა თავი მოხარა საზოგადოებისკენ და ცოტათი გაფაღმა, ეს იყო მისი სალამი კრებისადმი. კერენსკი, ამის შემდეგ მიუახლოვდა კათედრას, რომელიც ნარინჯის ფერ ხავერდში იყო გახვეული და ჩინებულად მორთული, მედიდურად შეაგდო ზედ თავის სამხედრო ქუდი, თვალს კი არ აშორებდა კრებას, სახეზე ეტყობოდა დიდი აღგზნება. მან სთქვა: „ერთი ხანი ჩემ წინააღმდეგ მთელი შეთქმულება არის, ცილს მწამებენ, იგონებენ ყოველგვარ სისაძაგლეს და ავრცელებენ, არა თუ სიტყვიერად, თავის გაზეთებში ჰბეჭდავენ, რომ უფრო გავრცელდეს ჩემ წინააღმდეგ ჭორი და ცილისწამება“. ეს სთქვა და ოდნავ მობრუნდა პრეზიდიუმისაკენ და თვალი თვალში გაუყარა ჩერნოვს. ეს სიტყვები მისკენ იყო გასროლილი.

აქ მინდა დაგისურათოთ კერენსკი. მე კერენსკი პირველად ვნახე იმ სადამოს. იგი შნოიანი შესახედავი კაცია, მიხვრა-მოხვრა გამოცდილი არტისტისა აქვს. ყოველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გარდადგას, ადრიანად გამოანგარიშებული და შესწავლილი აქვს. სიტყვებს უბრალოდ არ სროლილობს, ყოველ მის სიტყვებს თვითონვე დიდ მნიშვნელობას აძლევს. ლაპარაკის დროს, სიტყვებს არ ეძებს, არც იმეორებს. მადალი შუბლი, ლამაზი თავი, დაშშვენებული შნოიანი თმით კოხტათ სდგას. შორიდან რო შეხედოთ, უმცროს კლასის კადეტი გეგონებათ. ტანზე აცვია სახხედრო ინგლისური ტანისამოსი. კერენსკი თუმცა კაფანდარა კაცია, მაგრამ ეტყობა დიდ პატივშია და განცხრომილ ცხოვრებას ატარებს, მის სახეზე ყოველ მიხვრა-მოხვრას ბედნიერების ბეჭედი ეზის. სალამის დროს ტანში არ იხრება, ოდნავ თავს შეაქერეს, სიტყვებს რომ გაათავებს, თვალებს ჰნაბავს და სიამოვნებით უცდის ოვაციებს და ტაშის ცემას. თუ დარბაზის რომელიმე მხრიდან ტაშის ცემა არ მოესმა, შეწუხებული ახელს თვალებს და იმ მხრით იცქირება, სანამდანაც არ ისმის ტაშის ცემა და ოვაციები. მოკლედ რომ ვსთქვათ, კერენსკი განებივრებული ბავშვია რუსეთის რევოლუციისა.

ლ. ბახტაძე

15 ენკენ.

ჩრდილო და ამიერ კავკასია

სურსათის ნაკლებობამ და ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევამ ცხარე მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩრდილო და ამიერ კავკასიის დამოკიდებულებათა შესახებ. როგორც ვიცით, ძველი რეჟიმის დროს ჩრდილო კავკასია ამა თუ იმ საკითხის გარდაწყვეტაში თბილისიდან იყო დამოკიდებული. რევოლუციის დროს კი სურათი ცოტად თუ ბევრად შეიცვალა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დეპუტატ ყარაულოვის ამხედრება ამიერ კავკასიის რევოლუციონურ კომიტეტის წინააღმდეგ და მისივე მკვახე პასუხი კავკასიის მთავარ-სარდალ გენერალ პრჟევალსკისადმი, იმის მაჩვენებელია, რომ ჩრდილო კავკასიის მცხოვრებლებში და კერძოდ თერგის და ყუბანის ყაზახებში, საპატიო ნიადაგი აქვს ჩრდილო კავკასიის „სეპარატიზმს“ ამიერ კავკასიიდან.

დეპეშებში ხომ უკვე აღნიშნული იყო, რომ ყუბანის და თერგის ყაზახობამ თავიანთი სახხედრო წრე დაიარსეს და, თუ კერძო ხმებსაც დავუჯერებთ, მათ თავიანთი ოლქები ფედერატიულ ერთეულებათაც გამოაცხადეს.

რომ ჩრდილო კავკასია აღარ ჰსაჭიროებს ამიერ კავკასიის აპეკას, ამას ქალაქთა წარმომადგენელთა თათბირიც საკმაოდ ამტკიცებს. როგორც ვიცით, ეს თათბირი თბილისის ქალაქის გამგეობის მიერ იყო მოწვეული და შეეხებოდა მთელს კავკასიას. ამიტომ თათბირზე მონაწილეობის მიღება კავკასიის ყველა ქალაქს შეეძლო.

მაგრამ შედეგად სამწუხარო მოვლენა ვნახეთ.

ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ამიერ კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლები გამოცხადდნენ. არც ერთს ჩრდილო კავკასიის ქალაქს ამ თათბირში მონაწილეობა არ მიუღია.

შემდეგ გამოირკვა, რომ ჩრდილო კავკასიაში დადგენილ ყოფილა მონაწილეობა არ მიეღოთ თბილისში გამართულ ქალაქთა ყრილობაზე, ვინაიდან ეს კვლავ დამორჩილება იქნებოდა ჩრდილო კავკასიისა ამიერ კავკასიის მიერ. ამას გარდა, დადგენილ ყოფილა, რომ ჩრდილო კავკასიის ქალაქთა ყრილობა ცალკე ყოფილიყო მოწვეული.

თბილისში გამართულ ქალაქთა წარმომადგენელთა თათბირზე არ აღძრულა საკითხი ამიერ და ჩრდილო კავკასიის დამოკიდებულებათა შესახებ.

და ეს საკითხი კვლავ საკითხად დარჩა. ხოლო კერძო თათბირებიდან გამოირკვა, რომ ჩრდილო კავკასია ამიერ კავკასიიდან განცალკევებას თხოულობს.

ყუბანის და თერგის ოლქებისთვის საგანგებო-სამრეწველო ცენტრი როსტოვია და თუ ჩრდილო კავკასიისთვის აუცილებელია ვისმეისთან დაკავშირება, მაშინ, უეჭველია, ჩრდილო კავკასია როსტოვს უფრო დაემორჩილება ვიდრე თბილისს.

სწავლა განათლების შესახებაც დაახლოვებით ესევე ითქმის. ყუბანის და თერგის მოწაფეობა სწავლას როსტოვში ამთავრებს და ამ რიგად მათი ერთობა უფრო მტკიცდება.

როგორც ხმები დადის ჩრდილო კავკასიაში თვით საუდელტეხილო რკინის გზის გაყვანასაც ეშვით უყურებენ. თურმე ახალ რკინის გზაში მათ ამიერ კავკასიის დიქტატურა ელანდებათ.

შეიძლება ბევრი ზემოდ ნათქვამი მარტო სიტყვა იყოს და სინამდვილე ასე თუ ისე მისგან შორს იყოს—მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება:—ჩრდილო კავკასია ამიერ კავკასიიდან განზე იწევს და მათი დამოკიდებულება გამწვავებულია.

ეს გარემოება კი უნებურად ჰბადებს საჭირბოროტო და საბედისწერო საკითხს:—იქონიებს თუ არა დამოკიდებულებათა გამწვავება გავლენას სურსათის საკითხში.

როგორც ქალაქის მოურავმა ნ. ელიავამ განაცხადა წელს ჩრდილო კავკასიაში დახლოვებით 60,000 ფუთი მილიონი ხორბალია. ამიერ კავკასიის გამოსაკვებად კი მხოლოდ 50,000 ფუთი მილიონი ხორბალი არის საჭირო. იბადება კითხვა:—მოგვცემს თუ არა წელს ჩრდილო კავკასია ამ საჭირო ხორბალს.

დღემდე ჩრდილო კავკასიას ხორბლის მუშტრად მხოლოდ ამიერ კავკასია ჰყავდა. წელს კი სურათი შეცვლილა. ჭირნახულიანი რუსეთი წელს იმშეფა და ჩრდილო კავკასიას ჩვენს გარდა თვით რუსეთის მრავალი გუბერნია და თურქესტანიც სთხოვს პურს.

ჩრდილო კავკასიამ რომ ნეიტრალიტეტი დაიცვას და რომ თავისუფალი პური ორთავეს აძლიოს, ამიერ კავკასიის მდგომარეობა მაინც კრიტიკული.

ჩრდილო კავკასიიდან ხორბალი მხოლოდ რკინის გზით შემოიტანეთ და ჩრდილო კავკასიას მხოლოდ ერთი ლიანდაგი ერთებს ამიერ კავკასიასთან. სულ სხვა პირობებშია რუსეთი და თურქესტანი. რუსეთს ჩრდილო კავკასიასთან რამდენიმე რკინის გზა ერთებს და ამის გარდა ზოვის და კასპიის ზღვებზე მუდმივი მოძრაობაა. აშკარაა, რუსეთი და თურქესტანი დაახლოვებით ორჯელ მეტს გიტანენ, ვიდრე ამიერ კავკასია. თუ თქვენ ამას დაუმატებთ ჩრდილო და ამიერ კავკასიის დამოკიდებულებათა გამწვავებას, მაშინ აშკარად დაინახავთ, რომ ამიერ კავკასია შიმშილობის წინა სდგას.

ამიტომ საჭიროა, რომ ჩრდილო და ამიერ კავკასიის საკითხს და მათ დამოკიდებულებას ფრთხილად მოვეპყრათ, თორემ შემდეგ გადაბრუნებული ურმის აყენება ძაელი იქნება.

მ. ხაირხელი.

კორესპონდენცია

კახეთიდან

სიღფელი მელაანი. სოფელი მელაანი მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, სამი ვერსის მანძილზედ კახეთის რკინის გზის სადგურ „მელაანი“-დგან—თვით სადგურმა ს. მელაანიდგან მიიღო სახელი.

მცხოვრებელთა რიცხვი სოფელში 250 კომლამდე მიაღწევდა ომის დაწყებამდე, ომმა-კი რამდენიმე კომლი ამოსწყვიტა. მგონია იშვიათად მოიპოვება, როგორც ქართლში, აგრეთვე კახეთში, ისეთი სოფელი, სადაც სომხები არ მოსახლეობდენ, ან არა ვაჭროობდენ. სოფელ მელაანში კი ვერ მოიკიდებს მათ ფეხი ვერც სამოსახლეობოდ, ვერც სავაჭროდ, თუმცა სურვილი და მეცადინეობა მათის მხრით დიდი იყო. ამისთვის მელაანზედ ამბობდენენ: „უსომხო და უდუქნო სოფელია და შეძლებული უნდა იყოსო“ და, მართლაც, იყო შეძლებული. ბევრს ოჯახიშვილს ება სოფელ მელაანში საკუთარი გუთანი და, საზოგადოდ, უხარო კაცი ძლიერ მცირე რიცხვს შეადგენდა სოფელში; მსხვილფეხი მოცადი საქონელიც ბლომად ჰყვანდათ მომეტებულ ნაწილს. ოცზედ მეტი ცხვრის ფარა გამოდიოდა სოფელში და ათამდის ღორის ფარა. უსაქონლო კაცი კი მისდევდა საკრის აგებასა და დაწვას, რამაც, საუბედუროდ, ხელი შეუწყო შესანიშნავ მელაანის ტყის გაჩეხვასა და გატიალებას.

ყოველი ნაპირნახულევი და ნაამაგდარი მცხოვრებლებს შინაგე რჩებოდათ, რადგანაც მედუქნე-მეგახშეების ხრიკებისაგან უზრუნველ ყოფილნი იყვნენ. ასე რომ მართლაც და შეძლებული სოფელი იყო მელაანი. ხოლო ამისთანა შეძლებულსა და მოზრდილ სოფელში დღესაც არ მოიპოვება სკოლა.

ოთხმოციან წლებში ამ სოფლის ნაბატონარის ზ. ი. ანდრონიკაშვილის ასულმა, ახლა კნ. ჯორჯაძისამ, ნინომ თავის სახლში და თავისივე ხარჯით გამართა პატარა სკოლა. შეკრიფა ცამეტ-თოთხმეტი ბავშვი მცხოვრებლებისა—ქალებიცა და ვაჟებიც და დაიწყებინა ერთად სწავლა. გარდა იმისა რომ ყველას სასწავლო ნივთებს თვითონ ურიგებდა უფასოდ, ბევრს მათგანს ტანთაც აცმევდა. თვით სწავლის საქმეც სამაგალითოდ დააყენა კნ. ნინომ და ბევრმა მისმა ნამოწაფარმა გაიკვლია გზა პატიოსანი შრომა-ცხოვრებისა. მიზანი მისი მოქმედებისა ის იყო, რომ მელაანელებისათვის შეეგნებინა სიკეთე და სარგებლობა სწავლისა და ადეძრა მათში სურვილი სკოლის დაარსებისა. ამ საქმეში კნ. ნინოს ძლიერი დახმარება აღმოუჩინა მაშინდელმა მაზრის უფროსის თანაშემწემ თ. ლ. გ. ჯანდიერმა და სოფელმაც შეადგინა განაჩენი სკოლის დაარსებაზედ. მთავრობამაც დაამტკიცა განაჩენი, მაგრამ ჯერ სისრულეში არ მოსულიყო ეს საქმე, რომ ჯანდიერი სიღნაღის მაზრიდან გადაიყვანეს სხვაგან და ზოგიერთა ბოროტ პიროთა რჩევა-დახმარებით სოფელმა უარ ჰყო თავისი განაჩენი.

რაც მეტი დრო გადიოდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მით უფრო მეტად ავიწროვებდენ ბინდორტყეში ნაბატონარნი ნაყმევებს როგორც საზოგადოდ ყველგან, ისე ს. მელაანშიც. ნაბეტნავთ გაუჭირდათ მელაანელებს სისხლიანი საქონლის შენახვა. ნაბატონარნი არ აძლევდენენ ნებას უწინდელებულად ყველგან და თავისუფლად ეტარებინათ მელაანელებს თავისი საქონელი. და სადაც ჰქონდათ ნება საქოლის ტარებისა, იქაც იმოდენა საბალახოს იდებდენ მაძღულს პატრონები, რომ ბევრმა არ ჩია საქონლის გაწყვეტა, ვიდრე შენახვა. ახლა მელაანში საკუთარი გუთანი იშვიათია, მოცადი საქონელიც ძლიერ შემცირდა. ოცი და მეტი ცხვრის ფარის ნაცვლად, ორ-სამ კომლს ღა თუ ეყოლება ცხვარი—ისიც დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაჰკრეფა. ღორის ფარების ხსენება ხომ ადარ ღირს. სამაგიეროდ მელაანში გაბრავდა დუქნები. ამ ოცი წლის წინად გაჩნდა ჯერ ერთი დუქანი, მას მეორე მოჰყვა, და ახლა კი უკვე ექვს დუქნამდეა სოფელში. ცხოლოდ ვაჭრობა ხელაანელებისაგე ხელშია. ასე რომ არც ახლა არის მელაანში მოვაჭრედ უცხო ტომისა ვინმე. მაგრამ ამ დუქნებმა დიდი ვნება მოუტანეს სოფელს. სხვა საჭირო საგნებთან შედარებით აქ უფრო მოგებიანებულად ღვინო-არაყი სადღეგრძელოდ და სალხინებლად. ამ ღვინო-არაყს მოუბერავ ... ეს ... ...